საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №49
2020 წლის 18 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ლიცენზირების წესებისა და ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ლიცენზირების წესებისა და ენერგეტიკული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 27 მაისის №22 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 04/06/2020, სარეგისტრაციო კოდი: 300310000.16.009.016373) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ლიცენზირების წესების“ (დანართი №1) :

ა) დანართ №1.1-ში (ელექტროენერგიის წარმოების საქმიანობის სალიცენზიო პირობები) ამოღებულ იქნეს მე-3 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის „ზ, „თ“, „ი“, „ნ“, „ო“, „პ“ „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტები;

ბ) დანართ №1.3-ის (ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობის სალიცენზიო პირობები) მე-6 პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ლიცენზიატი უზრუნველყოფს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის მიერ დამტკიცებული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესებით განსაზღვრული წესით შესაბამისობის ოფიცრისათვის შესაბამისობის პროგრამის განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და შესაბამისობის ოფიცრის მიერ მომზადებული და კომისიის მიერ დამტკიცებული წლიური ანგარიშის თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებას.“.

2. დადგენილების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გასაცემი სალიცენზიო მოწმობის ფორმასა და მის აღწერილობაში“ (დანართი №3) სალიცენზიო მოწმობის ფორმა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ლიცენზია

სერია ---------- სარეგისტრაციო № ----------

(მფლობელის დასახელება)

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ეძლევა უფლება განახორციელოს

ლიცენზიას დანართის გარეშე ძალა არა აქვს.

ლიცენზია გაცემულია უვადოდ.

გადაწყვეტილება № ---------- წლის ----------
დანართი:

☐ სალიცენზიო პირობები

☐სალიცენზიო საქმიანობის არეალი

☐ ძირითად საშუალებათა (აქტივების) ადგილმდებარეობა

ბ.ა.
თავმჯდომარე: ----------

კომისიის წევრები:----------

ლიცენზიის გაცემის თარიღი: ----------

დამკვეთი: საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისია

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №----------

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**